ვალერიან მეტრეველი
გიორგი დავითაშვილი

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
1999

მოითხოვდა მათ დაცვა-შესრულებას.

სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე თავისი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ასევე სხვა უფროსი თაობის სოფისტებსაც, მაგ., გორგიუსს. ჰიპიუსს, ანტიფონესა და ლიკოფრონს.

გორგიუსი და *ჰიპიუსი* მიუთითებდნენ, რომ კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი აქტი. ჰიპიუსი ერთმანეთს უპირისპირებს ბუნებით სამართლიანობასა და კანონით სამართლიანობას. იგი მიუთითებდა, რომ კანონი არის ტირანი ადამიანებისათვის და მისი მოთხოვნა არ შეესაბამება ადამიანის ბუნებას.

რაც შეეხება *ანტიფონესა* და *ლიკოფრონს*, ისინი მიუთითებდნენ, რომ სამართალი არის ადამიანთა უბრალო შეთანხმების შედეგი.

უფროსი თაობის სოფისტებისაგან განსხვავებით, უმცროსი თაობის სოფისტთა უმრავლესობა ანტიდემოკრატიული შეხედულების მატარებელია. მაგ., *თრაზიმაქე* სამართალს აცხადებს ძალად, მისი თქმით, სამართალი არის ის, რაც აწყობთ ხელისუფალთ, მმართველებს, იმათ, ვისაც ძალა აქვთ. ამით იგი ამართლებს წარჩინებულთა უმცირესობის ბატონობას უმრავლესობაზე. თრაზიმაქე მიუთითებდა, რომ სამართალი უნდა ემსახურებოდეს მდიდრებს. უმცროსი თაობის მეორე წარმომადგენელი *კალიკლე*, თრაზიმაქეს მსგავსად, უკმაყოფილოა ხალხის ფართო მონაწილეობით სახელმწიფო საქმიანობაში და საქმეს ისე ხატავს, თითქოს ღარიბები აშინებენ მდიდრებს და კანონებს ღარიბები ადგენენ, რაც ბუნების საწინააღმდეგოა. კალიკლე ამ მდგომარეობის აღკვეთას მოითხოვს.

§5. სოკრატეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

ჩვ.წ. აღ-მდე V საუკუნის 30-იან წლებში საბერძნეთში ადგილი აქვს კრიზისს, რომლის გამოხატულებას პელოპონესის ომი წარმოადგენს. აღნიშნულ პერიოდში სოფისტებთან ერთად უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ცნობილმა ბერძენმა ფილოსოფოსმა *სოკრატემ* (469-399).

სოფისტების მსგავსად, სოკრატეც სიბრძნისმეტყველად თვლიდა თავის თავს და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ სოკრატეს მოძღვრება დიდად განსხვავდებოდა სოფისტების მოძღვრებისაგან.

იმ მხრივ, რომ სოკრატე არისტოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა.

სოკრატე უარყოფითად იყო განწყობილი ათენის დემოკრატიისადმი. პელოპონესის ომის დამთავრების შემდეგ სოკრატეს ბრალად დასდეს დემოკრატიის უარყოფა, იგი თითქოს არ ცნობდა აღიარებულ ღმერთებს და თავისი იდეებით რყვნიდა ახალგაზრდობას.

სოკრატეს ფილოსოფიის ამოსავალი დებულება იყო თეზისი: „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი". აღნიშნული ირონიული თავის დამდაბლება მიმართული იყო სოფისტების წინააღმდეგ, რომლებიც თვითდაჯერებულად აცხადებდნენ, თითქოს მათ ყველაფერი შეიცნეს.

სოკრატე მიუთითებდა, რომ გრძნობითი აღქმები ჯერ კიდევ არ არის ცოდნა, არამედ არის აზრი, მოსაზრება. სოკრატეს აზრით, ნამდვილი ცოდნა შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი დებულებების მეშვეობით. სოკრატე ბუნებათმცოდნეობის წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, პირველ ადგილზე უნდა იყოს საზოგადოებათმცოდნეობის საკითხების შესწავლა, ხოლო შემდეგ - ბუნებათმცოდნეობის. სოკრატეს ცნობილი თეზისია „შეიცან თავი შენი". საკუთარი თავის შეცნობის შემდეგ ადამიანმა იცის, თუ რა არის მისთვის სასარგებლო და არასასარგებლო. ამგვარად, უარყოფს სოკრატე ბუნების და სხვა სახის მოვლენების შესწავლას, სამაგიეროდ, ჩამოთვლის საკითხთა წრეს და მომხრეა ამ საკითხების დამუშავებისა. ეს საკითხებია: სამართლიანობა, სამართალი, კანონი, სიკეთე და სხვ.

სოკრატე აკრიტიკებდა ათენის დემოკრატიას, მისი იდეალი არისტოკრატიული წყობილებაა. არისტოკრატია სოკრატეს მოსწონს იმდენად, რამდენადაც ეს არის სახელმწიფო, რომელსაც განაგებენ მცირე, მაგრამ მცოდნე და მომზადებული ადამიანები. სოკრატე ცდილობს გაამართლოს უმცირესობის ბატონობა და მიუთითებს, რომ გაბატონება ეს არის „სამეფო ხელოვნება". სამეფო ხელისუფლებაში ყველა როდი დაიშვება, არამედ მხოლოდ ის, ვინც განათლებულია და ამისათვის გააჩნია სათანადო მონაცემები. „მეფეები და გამგებელნი ისინი კი არ უნდა იყვნენ, ვინც სკიპტრას ატარებენ, ან შემთხვევით მოხვდნენ სამეფო ტახტზე, არამედ ისინი, ვისაც შეუძლიათ მართონ". ამიტომ სოკრატე აკრიტიკებდა ათენის დემოკრატიაში მიღებულ წესს, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს თანამდებობებზე კენჭისყრით არჩევას.

სოკრატე აკრიტიკებდა ასევე ათენის დემოკრატიის უმაღლეს ორგანოს - სახალხო კრებას, რომელიც ძირითადად შედგებოდა ხელოსნებისა და ვაჭრებისაგან. სწორედ ისინი ესწრებოდნენ მუდმივად სახალხო კრებას სხვა ფენებისაგან განსხვავებით. სოკრატეს აზრით, ეს ის ხალხია, რომელიც ფიქრობს რაიმეს იაფად ყიდვას ან ძვირად გაყიდვას, ეს ის ხალხია, რომელსაც არასოდეს არ უფიქრია სახელმწიფოს მართვაზე. სოკრატეს ასეთი მოსაზრებები გახდა იმის საფუძველი, რომ ამ უკანასკნელს ბრალად დასდეს თითქოს მისი სიტყვები ახალგაზრდობას განაწყობს დამყარებულ დემოკრატიულ წესწყობილების დამხობისაკენ.

სოკრატე საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს სამართლის შესახებაც. მისი აზრით, არსებობენ დაუწერელი ანუ „ღვთაებრივი კანონები", რომელთაც ყოვლისშემძლე ძალა აქვთ და რომელნიც ადამიანთა მიერ დაწერილი კანონების საფუძველს წარმოადგენენ. სოკრატე ასახელებს დაუწერელ კანონებს მაგ.: ღმერთებისადმი მორჩილება, მშობლებისადმი პატივისცემა, დაწერილი კანონებისადმი მორჩილება და სხვ. სოკრატეს აზრით, სამართლიანი და კანონიერი ერთი და იგივეა.

მიუხედავად დაუწერელი კანონებისადმი პრიმატის მინიჭებისა, სოკრატე დიდად აფასებს დაწერილ კანონებს, მათ დაცვას. მისი აზრით, ადამიანთა მიერ დაწერილი კანონები იცავს საზოგადოებას თვითნებობისაგან.

თუ დავუჯერებთ პლატონის გადმოცემას, ორი დღით ადრე სოკრატეს სიკვდილით დასჯამდე, მასთან საკანში შესვლა მოახერხა მისმა მეგობარმა კრიტონმა და წინადადება მისცა ციხიდან გაქცეულიყო, მაგრამ სოკრატემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ თითოეულმა ადამიანმა უსიტყვოდ უნდა დაიცვას და შეასრულოს კანონები. „ვთქვათ, გადავწყვიტე გაქცევა - მიუგებს სოკრატე - მაგრამ მოდიან კანონები, იცავენ რა სახელმწიფოს საერთო საქმეს, გვეუბნებიან: გვითხარ სოკრატე, ეს რამ ჩაგიფიქრებია? როგორც ჩანს, აზრად მოგსვლია ჩვენი, ე.ი. კანონებისა და მთელი საზოგადოების დაღუპვა. ნუთუ საზოგადოებას შეეძლება არსებობა, თუ მასში სასამართლო გადაწყვეტილებებს არ ექნება არავითარი ძალა?"

სოკრატე, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიის მოწინააღმდეგე იყო, იცავდა ათენის დემოკრატიის კანონებს.

ქსენოფონტი

მოგონებები სოკრატეზე
სოკრატეს აპოლოგია

ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და სახელთა საძიებელი დაურთო

აკაკი ურუშაძემ

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1973

1. ვფიქრობ, გახსენების ღირსია ისიც, თუ რას ფიქრობდა სოკრატე თავდასაცავი სიტყვისა და სიცოცხლის აღსასრულის შესახებ, როცა იგი სამართალში მისცეს. ამის თაობაზე სხვებსაც დაუწერიათ და ყველას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია მისი ამაყი სიტყვისათვის, რაც ცხადყოფს იმას, რომ სოკრატეს, მართლაც, ასე ულაპარაკნია. მაგრამ მათ არა აქვთ ნათელყოფილი, სოკრატეს მაშინ სიკვდილი სიცოცხლეზე უმჯობესად რომ მიუჩნევია[1]; ამის გამო მისი ამაყი სიტყვა შეიძლება არცთუ მთლად გონივრული ეჩვენოს კაცს.

2. სხვათა შორის, ჰერმოგენემ, ჰიპონიკეს ვაჟმა და სოკრატეს მეგობარმა[2] ისეთი ამბები გვაუწყა მის შესახებ, რომ სოკრატეს ზვიადი სიტყვა, ჩანს, სრულიად შეესაბამებოდა ამ კაცის გულსა და გონებაში ჩაბუდებულ ზრახვას. რაკი შეუმჩნევია, სოკრატე სხვა რამეებზე უფრო მეტად საუბრობდა, ვიდრე მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე, ჰერმოგენეს, როგორც თვითონ ამბობს, უთქვამს: 3. — განა არაა საჭირო, ჩემო სოკრატე, იფიქრო იმაზე, თუ ვით დაიცვა თავი? სოკრატეს ჯერ ასე უპასუხნია: —ნუთუ არ იცი, მთელი ჩემი ცხოვრება თავის დაცვისთვის ზრუნვაში რომ ვავატარეო? —ხოლო, როცა ჰერმოგენეს უკითხავს — როგორო? მაშინ სოკრატეს მიუგია: — როგორდა, არც ერთი უსამართლო საქმე არ ჩამიდენია, რაც, ჩემი აზრით, თავის დაცვისათვის ზრუნვის საუკეთესო დადასტურება უნდა იყოსო. 4. ჰერმოგენეს კვლავ მიუმართავს: —ვერ ხედავ, ათენელთა სამსჯავროები რომ სიტყვის გავლენით ხშირად კლავენ სრულიად უდანაშაულოთ, ხოლო ასევე ხშირად აოავისუფლებენ დამნაშავეებს მათი თავის შემაცოდებელი ან შემპარავი და გულის მოსაგები ლაპარაკით? — ვფიცავ ზევსს, — მიუგო სოკრატემ, — უკვე ორგზის ვცადე თავდასაცავი სიტყვის მომზადებისათვის მიმეყო ხელი, მაგრამ დემონი[3] მიწევს წინააღმდეგობას, 5. — საკვირველ რამეს ამბობ! — უთხრა თურმე ჰერმოგენემ: —რატომ გგონია საკვირველი, — უპასუხა სოკრატემ, — თუ ღმერთსაც მიაჩნია, რომ ჩემთვის უმჯობესია უკვე გავეყარო სიცოცხლეს?

არ იცი, რომ დღემდე არც ერთი კაცისთვის არ დამითმია, ჩემზე უკეთ ეცხოვრა? მაგრამ, რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა, ვიცი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ღვთისმოსაობასა და სამართლიანობის დაცვაში გავატარე. ამით მე თვითონაც ძალიან აღფრთოვანებული ვიყავი და ვგრძნობდი, ჩემი ახლობლებიც ასეთივე აზრისა იყვნენ ჩემზე. 6. ახლა კი, კიდევ რომ გაგრძელდეს ჩემი სიცოცხლე, დარწმუნებული ვარ, იძულებული ვიქნები, სიბერეს ხარკი გადავუხადო: უარესად უნდა დავინახო, ნაკლები უნდა გავიგონო, ველარ უნდა ვისწავლო და რაც მისწავლია, ისიც უნდა დამავიწყდეს. თუკი ვიგრძნობ, რომ დავჩაჩანაკდი და საკუთარ თავს გმობას დავუწყებ, კვლავ როგორღა ვიცხოვრებ კმაყოფილად? 7. თან, ეტყობა, ღმერთი თავის წყალობას არ მაკლებს და საშუალებას მაძლევს, არა მარტო ჩემი ასაკისათვის სრულიად შესაფერ დროს დავასრულო სიცოცხლე, არამედ ადვილადაც გავეყარო მას. თუ ახლა დავისჯები, ცხადია, შესაძლებლობა მექნება, იმ სიკვდილით მოვკვდე, რომელსაც ყველაზე იოლად თვლიან ამ საქმის გამგებელნი და რომელიც ყველაზე ნაკლებ შეაშფოთებს მეგობრებს და მეტ სიბრალულს აღძრავს სიცოცხლესთან გაყრილის მიმართ. როცა გარშემო მყოფთა გონებაში კაცი არ ტოვებს რაიმეს შეუფერებელს და უსიამოვნოს და სიცოცხლეს საღი სხეულითა და სიყვარულის მატარებელი სულით ეცლება, როგორ არ აღძრავს იგი სიბრალულს? 8. სრულიად სწორად შემეწინააღმდეგენ ღმერთები, მომეფიქრებინა წარმოსათქმელი სიტყვა, და ეს მაშინ, როცა გვეგონა, თითქოს საჭირო იყო, ყოველგვარი ხერხით მოგვეძია თავის გადარჩენის საშუალება. ეს რომ ჩამედინა, იმის ნაცვლად რომ ახლა მოვმკვდარიყავ, ცხადია, განვიმზადებდი იმას, რომ სიცოცხლე დამესრულებინა სნეებით დაავადებულს, ანდა იმ სიბერის მიზეზით, რომელიც ტანჯვაწვალებითაა აღსავსე და უსიხარულოდ მიედინება. 9. ვფიცავ ზევსს, ჩემო ჰერმოგენე, ამას მე არც მოვინდომებ! თუ მოსამართლეთ განვარისხებ იმით, რომ აღვნიშნავ, რაოდენი სიკეთე მრგებია, ჩემი ფიქრით, ცალკე ღმერთებისაგან და ცალკე ადამიანებისაგან და რა დიდი აზრისა ვარ საკუთარ თავზე, სიკვდილს უმალ ვარჩევ, ვიდრე მონურად სიცოცხლის თხოვნას და სიკვდილზე ბევრად უარესი ცხოვრების თრევას.

10. ჰერმოგენეს გადმოცემით, როცა მოწინააღმდეგეებმა ასეთი შეხედულების კაცს ბრალად დასდეს: არ აღიარებს ღმერთებს, რომელთაც სახელმწიფო აღიარებს, შემოჰყავს სხვა, ახალი დემონები და ახალგაზრდებს რყვნისო, სოკრატე წამოდგა წინ და თქვა:

11. უწინარეს ყოვლისა, მოქალაქენო, მიკვირს, რა საფუძველზე

ამბობს მელეტე, თითქოს არ ვაღიარებდე ღმერთებს, რომელთაც სახელმწიფო აღიარებს, მაშინ როცა ყოველი დამსწრე ხედავდა და თვითონ მელეტესაც შეეძლო, თუ მოისურვებდა, დაენახა, რომ მუდამ ვწირავდი მსხვერპლს საყოველთაო დღესასწაულებზეც და საჯარო საკურთხევლებზეც. 12. რაც შეეხება ახალ დემონებს, განა შეიძლება, იმით შემომყავდეს ისინი, რომ ვამბობ: ღვთის ხმა მეცლინება და მაუწყებს, რა უნდა გავაკეთო-მეთქი? სწორედ რომ ხმების წყალობით გამოაქვთ სამისნო დასკვნა იმათაც, რომლებიც ფრინველთა ყივილს უკვირდებიან და იმათაც, ვინც ადამიანის სიტყვას ეყრდნობიან. განა შეუძლია ვინმეს თქვას, რომ ქუხილი არ გამოსცემს ხმას და რომ ის არ არის მომავლის მაუწყებელი უდიდესი ნიშანი? 13. პითოში სამფეხზე მჯდარი ქურუმი ქალი განა ხმით არ გვაუწყებს ღვთის ნება-სურვილს? [4] იმასაც ყველა ჩემსავით ამბობს და ფიქრობს, რომ მყობადი ღმერთმა უწყის და ამცნობს მას, ვისაც მოისურვებს. ოღონდ ესაა, რომ სხვები წინასწარმეტყველებს ეძახიან ფრინველებს, იდუმალ ხმებს, სხვადასხვა ნიშნებსა და მისნებს, მე კი წინასწარმეტყველის სახელს დემონს ვაძლევ და ვფიქრობ, ამ სახელის მისთვის მიცემით, უფრო მეტ ჭეშმარიტებასა და ღვთისმოსაობას გამოვხატავ, ვიდრე ისინი, ღმერთების ძალა რომ ფრინველებზე გადააქვთ. მე რომ ღმერთის მიმართ არ ვცრუობ, ამის დამამტკიცებელი მოწმობა ისაა, რომ მრავალი ჩემი მეგობრისათვის განმიცხადებია ღვთის გადაწყვეტილება და არასოდეს სიცრუეში არ ვმხილებულვარ. 14. ამის მოსმენაზე მსაჯულებმა ხმაური ატეხეს: ზოგს არ სჯეროდა ნათქვამი, ზოგსაც შურდა, მას რომ უპირატესობა ჰქონდა ღმერთებისგან მინიჭებული. მაშინ სოკრატემ კვლავ თქვა: — აბა, ახლა სხვა რამეც მოისმინეთ, რათა, რომელ თქვენგანსაც სურს, კიდევ უფრო მეტად არ იწამოს დემონებისაგან ჩემი პატივისცემა. ერთხელ, როცა ქერეფონტმა მრავალი კაცის თანდასწრებით დელფოში ღმერთს ჩემ გამო შეკითხვა მისცა, აპოლონმა [5] უპასუხა: არ არსებობს კაცი უფრო კეთილშობილი, სამართლიანი და ბრძენიო.

15. ამის გაგონებაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მსაჯულები კიდევ უფრო მეტად ახმაურდნენ. სოკრატემ კი ისევ განაგრძო: — მაგრამ, ათენელნო, ღმერთმა თავის წინთქმაში გაცილებით მეტი ბრძანა ლაკედემოსელთა კანონმდებელ ლიკურგეზე, ვიდრე ჩემზე. ამბობენ, როცა იგი ტაძარში შევიდა, ღმერთმა ასე მიმართა: არ ვიცი, რა გიწოდო შენ — ღმერთი თუ ადამიანიო. მე ღმერთთან არ გაუთანაბრებივარ მას, ოღონდ მიიჩნია, რომ ადამიანებს ბევრ რამეში აღვემატები. მაგრამ თქვენ განუსჯელად ნურც ამაში ენდობით

ღმერთს და სათითაოდ განიხილეთ ის, რაც მან ჩემზე ბრძანა; 16. ვის იცნობთ თქვენ ისეთს, ჩემზე ნაკლებ ემონებოდეს ხორციელ განცხრომას? ვის იცნობთ ისეთ კეთილშობილ კაცს, როგორიც მე ვარ, ვინც არავისგან არ ვიღებ არც საჩუქარსა და არც ქირას? ვის ჩათვლიდით იმაზე სამართლიან კაცად, ვინც ისეა შეგუებული არსებულ ვითარებასთან, რომ სხვისა არაფერი სჭირდება? განა ვინმე დაუმსახურებლად მიწოდებს ბრძენი კაცის სახელს? მე ხომ იქიდან მოკიდებული, რაც ნათქვამის გაგება დავიწყე, არასოდეს შემიწყვეტია, როგორც ხელი მიმიწვდებოდა, მეძია და შემესწავლა სიკეთე? 17. როგორ გგონიათ, ჩემს შრომას რომ ამაოდ არ ჩაუვლია, ამას არ მოწმობს ის, უზენაესი სათნოების მაძიებელ მრავალ მოქალაქეს და მრავალ უცხოელსაც ყველაფერს რომ ჩემთან ყოფნა ურჩევნიათ? ანდა რა არის იმის მიზეზი, მრავალი კაცი რომ ცდილობს, რაღაც მაჩუქოს, მაშინ როცა ყველამ კარგად იცის, ჩემი ქონების პატრონს სამაგიეროს გადახდა არ შემიძლია? რატომ არავინ მოითხოვს ჩემგან სამაგიერო სიკეთეს, მაშინ როცა ძალიან ბევრი ვალდებულად თვლის თავს, მადლი მომიძღვნას?

18. ალყაში ყოფნის ჟამს[6], როცა სხვები თავიანთ ბედს დასტიროდნენ, რატომ არ ვგრძნობდი არავითარ გაჭირვებას და რატომ ვცხოვრობდი ისევ ისე, როგორც ქალაქის უმაღლესი კეთილდღეობის დროს? როცა სხვები ძვირად ღირებულ განცხრომის საგნებს იძენენ მოედანზე, როგორ ვახერხებ მე, ყოველგვარი ხარჯის გარეშე, საკუთარ სულში მოვიძიო ის, რაც უფრო მეტადაა დამატკბობელი, ვიდრე მათი საგნები? თუ არავის ძალუძს, მამხილოს და სიცრუედ მიიჩნიოს, რაც მოგახსენეთ, როგორღა არ იქნება სამართლიანი, ღმერთებმაც და ადამიანებმაც რომ შემაქონ?

19. შენ კი, მელეტევ, მაინც ამტკიცებ, რომ ასეთი წესიერი კაცი ახალგაზრდებს ვრყვნი? ჩვენ კარგად ვიცით, რაც რყვნის ახალგაზრდებს! აბა, ერთი, გვიბრძანე, თუ იცნობ ვინმეს, ღვთისმოსავი ყოფილიყო და ჩემი მიზეზით ღვთისმკრეხელობისათვის მიეყო ხელი, მოკრძალებული ადამიანი ამავე მიზეზით გაამპარტავნებულიყო, მომჭირნეს მფლანგველობა დაეწყო, ზომიერად მსმელი ღვინით გალოთებულიყო, შრომისმოყვარე უქნარა გამხდარიყო ან სხვა ბოროტ ვნებას დამონებოდა? 20. მაგრამ მე, — წამოიძახა მელეტემ, — ვფიცავ ზევსს, რომ ვიცნობ იმათ, რომლებიც **დაგირწმუნებია**, მშობლებზე უფრო მეტად შენ დაგიჯერონ! — რაც აღზრდას ეხება, იმაში გეთანხმები, მელეტევ; ყველამ იცის, რომ ეს ჩემი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. საქმე ისაა, რომ ჯანმრთელობის საკითხში ხალხი მშობლებზე მეტად ექიმებს ენდობა; სახალხო კრე-

ბებშიც უკლებლივ ყველა ათენელი გონიერ მჭევრმეტყველთ უფრო უჯერებს, ვიდრე ნათესავებს. სტრატეგოსების არჩევის დროსაც მამებსა და ძმებზე და, ვფიცავ ზევსს, საკუთარ თავზეც მეტ უპირატესობას იმათ არ ანიჭებთ, რომლებსაც საომარ საქმეებში გამოცდილ ადამიანებად თვლით? — დიახ, სოკრატე, აგრე ვიქცევით, რამეთუ ამას სარგებლობაც მოაქვს და მიღებულიც ასეა. 21. — მერმედა, — მიუგო სოკრატემ, — რატომ არ გაოცებს ის, რომ ყოველ სხვა საქმეში დიდოსტატები არა მარტო თანასწორობით სარგებლობენ, არამედ მეტ პატივსაც იმკიან, მე კი, იმის გამო რომ ზოგიერთებისაგან აღიარებული ვარ ადამიანისთვის ისეთი უდიდესი სიკეთის ხელოვნად, როგორიც აღზრდაა, მდევნი და სასჯელად სიკვდილს მიმზადებ?

22. ცხადია, ამაზე მეტიც ითქვა, თვითონ სოკრატესაგან და მისი დამცველი მეგობრების მიერაც[7]; მაგრამ მე არ განმიზრახავს, დაწვრილებით მომეთხრო ყველაფერი, რაც სამსჯავროში მოხდა. ვიკმარე, ნათელმეყო სოკრატეს თავგამოდებული მისწრაფება, მსაჯულებისათვის ეჩვენებინა, რომ იგი არც ღმერთებს უარყოფდა და არც ადამიანების მიმართ იყო უსამართლო; 23. რომ იგი სიკვდილისაგან თავის დასახსნელად სრულიად არ აპირებდა ხვეწნა-მუდარას და თვლიდა, რომ მარჯვე დრო დაუდგა სიცოცხლის დასასრულებლად. მისი აზრი რომ სწორედ ასეთი იყო, კიდევ უფრო ცხადი გახდა მაშინ, როცა გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს. ჯერ — როცა წინადადება მისცეს, თავისთავისთვის დაენიშნა ჯარიმა, ამაზე თვითონაც უარი თქვა და მეგობრებსაც არ დაანება ამის გაკეთება: [8] თავის დაჯარიმება დანაშაულის აღიარება იქნებაო; მერმე — როცა მეგობრებმა მისი გატაცება მოინდომეს, არ დათანხმდა და, ეტყობა, დაცინვით ჰკითხა მათ: ატიკის გარეთ განა რომელი ადგილი გეგულებათ, სადაც სიკვდილი ვერ მოაღწევსო.

24 როცა გასამართლება დასრულდა, სოკრატემ განაცხადა: „ათენელნო, იმ პირებმა, ვინც მოწმეებს ყალბი ფიცის დადება და ჩემს წინააღმდეგ ცრუმოწმეობა ასწავლეს და იმ პირებმაც, რომლებმაც მათ დაუჯერეს, აუცილებლობის კარნახით უნდა შეიგნონ, რომ უწმინდურება და უსამართლობა ჩაიდინეს. განა მეკუთვნის, ის აზრი, რაც გასამართლებამდე ჩემზე არსებობდა, თუნდაც ოდნავ შეიბღალოს მაშინ, როცა არც ერთ იმ საქმის ჩადენაში არა ვარ მხილებული, რომელთაც მაბრალებენ? აკი არ დამტკიცდა, რომ მე ზევსისა და ჰერას ნაცვლად და ამათი ბადალი სხვა ღმერთების ნაცვლად მსხვერპლს ვწირავდი რომელიღაც ახალ დემონებს, რომ ვფიცულობდი და თაყვანს ვცემდი სხვა ღმერთებს. 25. რაც შე-

ეხება ახალგაზრდებს, როგორ შემეძლო მათი გარყვნა, როცა მოთმინებასა და ზომიერებას ვაჩვევდი? ჩემი მოწინააღმდეგენიც კი არ ამბობენ, რომ ჩამედინოს რამე იმ ბოროტმოქმედებათაგან, რომლებიც სიკვდილით დასჯას ექვემდებარებიან; ესენია: ტაძრების ძარცვა, კედლების შეტეხა, თავისუფალი კაცის მოტაცება და სახელმწიფოს ღალატი. ამიტომ, მგონი საკვირველი უნდა იყოს, როცა თქვენ რაღაც ისეთი საქმის ჩამდენად მთვლით, რაც სიკვდილით დასჯას იმსახურებს. 26. მაგრამ, იმის გამო რომ უსამართლოდ ვკვდები, ჩემს ღირსებას ვერ დავამდაბლებ. სასიკვდილო განაჩენი სამარცხვინოა არა ჩემთვის, არამედ მათთვის, რომლებმაც იგი გამოიტანეს. გარდა ამისა მამხნევებს პალამედეც[9], რომელმაც სიცოცხლე თითქმის ჩემსავით დაასრულა და ვისაც მის უსამართლოდ მკვლელ ოდისევსზე უფრო მშვენიერ ჰიმნებს ახლაც კი უმღერიან. დარწმუნებული ვარ, მომავალი დრო, ისევე როგორც წარსული, დამემოწმება, რომ არასოდეს არავის მიმართ უსამართლობა არ ჩამიდენია, რომ არავინ გამიხდია უარესი და მუდამ კეთილ საქმეს ვუყოფდი ჩემს საუბრებში მონაწილეებს, რომელთაც უანგაროდ ვასწავლიდი იმ სიკეთეს, რაც კი შემეძლო მესწავლებინა.

27. თქვა თუ არა ეს, სოკრატე სამსჯავროდან წავიდა თავაწეული, მისი სიტყვისათვის შესაფერი მოცინარე თვალებით და მტკიცე ნაბიჯით. როცა შენიშნა, მისი თანამხლებელნი ცრემლად იღვრებოდნენ, ასე მიმართა: ეგ რაღა არის? ახლა დაიწყეთ ტირილი? განა იმთავითვე არ იცოდით, რომ დაბადების დღიდანვე მქონდა ბუნებისაგან მოსჯილი სიკვდილი? მე რომ უდროოდ ვიღუპებოდე თავსაყრელ სიკეთეთა წიაღში, მეცა და ჩემ კეთილმოსურნეთაც, ცხადია, სადარდებელი გვექნებოდა, მაგრამ რაკი სიცოცხლეს საშინელებათა მოლოდინში ვამთავრებ, მგონი, ჩემი ასეთი ბედნიერება თქვენ ყველას უნდა გიხაროდეთ.

28. იქ მყოფმა ერთ-ერთმა პირმა, სახელად აპოლოდორემ, რომელიც სოკრატეს მეტისმეტად მოყვარული, მაგრამ სხვაფრივ, უბრალო კაცი გახლდათ, ასე თქვა: — ჩემო სოკრატე, ჩემთვის ყველაზე უფრო ძნელი ასატანი ისაა, რომ ვხედავ, უსამართლოდ კვდები.

სოკრატემ, როგორც ამბობენ, მას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: — შენ რა, ჩემო საყვარელო აპოლოდორე, გერჩია, სამართლიანად მოვმკვდარიყავ, ვიდრე უსამართლოდ? [10] ამ სიტყვებს მან სიცილიც დააყოლა თურმე.

29. ამბობენ, როცა სოკრატემ გვერდით ჩავლილი ანიტე დაი-

ნახა, აგრე თქვაო: — შეხეთ, რა თავაწეულია ეს კაცი, თითქოს დიდი და სასახელო რამ შეესრულებინოს, რაკი სიკვდილს მიმცა იმის გამო, რომ როცა დავინახე, ქალაქმა უდიდესი პატივით ღირსყო, ვუთხარი: აღარ გეკადრება, შვილი მეტყავედ გაზარდო-მეთქი. ამ საცოდავს, ეტყობა, არ ესმის, ჩვენ ორს შორის ვინც მთელს თავის სიცოცხლეში უფრო სასარგებლო და მშვენიერი საქმე აკეთა, გამარჯვებულიც ის არის! 30. ჰომეროსი ზოგიერთ პირს სიცოცხლის აღსასრულის ჟამს მყობადის განჭვრეტის უნარს მიაწერს ხოლმე[11]. და აი, მეც მინდა ერთი რამ ვიწინასწარმეტყველო. ერთხელ, სულ მცირე ხნით, ანიტეს ვაჟი იყო ჩემთან და გავიფიქრე: ეს ყმაწვილი მთლად უნიჭო არ უნდა იყოს-მეთქი. ამიტომ ვამბობ ახლა, რომ იგი არ შერჩება იმ მონურ საქმიანობას, მამამისმა რომ დაუწესა; მაგრამ რაკი არც ერთი ხეირიანი მზრუნველი არა ჰყავს, რაღაც სამარცხვინო ვნების ხლართებში გაებმება და მანკიერების გზაზე ძალზე შორს შეტოპავს.

31. ასე თქვა სოკრატემ და არც შემცდარა. ეს ყმაწვილი, მართლაც დაეჩვია ღვინოს, დღისით და ღამით არ წყვეტდა სმას; ბოლოს და ბოლოს აღარაფრად ვარგოდა არც ქალაქისათვის და არც საკუთარი თავისა და მეგობრებისათვის.

ანიტე კი, შვილის ცუდად აღზრდის გამო და თავის უგუნურების მიზეზით, სიკვდილის შემდეგაც ავად მოიხსენება.

32. ერთი სიტყვით, სოკრატემ თავისი თავის ამაღლებით სამსჯავროში შური აღაგზნო და მსაჯულნი წააქეზა, მისთვის გამამტყუნებელი განაჩენი გამოეტანათ. ჩემი აზრით, სოკრატეს ღმერთების წყალობა ებოძა. მან ცხოვრების უმძიმესი ნაწილი დატოვა და სიკვდილთა შორის უადვილესი სიკვდილიც ერგო.

33. სოკრატემ სულის ძლიერება გამოამჟღავნა. რაკი გადაწყვიტა, სიცოცხლის გაგრძელებას მისთვის სიკვდილი ჯობდა, როგორც სხვა დანარჩენ სიკეთეს არ ეურჩებოდა, არც სიკვდილის წინაშე გამოუჩენია ჯიუტობა; მან იგი სიხარულით მიიღო და ისე აღსრულდა.

34. მე, როცა ამ კაცის სიბრძნესა და კეთილშობილებას ვუკვირდები, არ შემიძლია არ მოვიგონო იგი და მოგონების ჟამს არ შევაქო. თუკი ვისმე უზენაესი სიკეთის მაძიებლებში სოკრატეზე სასარგებლო კაცთან ჰქონია ურთიერთობა, იმას უნეტარეს ადამიანად მივიჩნევ.

კაცი უკეთ, თუ არა იმით, რომ მათ მთელი არსებით დაემორჩილოს?

18. აი, ასეთი საუბრებითა და პირადი მოქმედებით სოკრატე თავის მსმენელებს უაღრესად ღვთისმოსავ და კეთილგონიერ პიროვნებებად ხდიდა.

თავი IV

1. თავის აზრს სამართლიანობის თაობაზე სოკრატე არ მალავდა და ამას საქმითაც ამჟღავნებდა. პირად ცხოვრებაში ყოველივეს ადათ-წესებისა და სიკეთის შესაბამისად ასრულებდა, ხოლო როგორც მოქალაქე, კანონთა ბრძანების თანახმად, მმართველებს ისე ემორჩილებოდა ქალაქშიც და ლაშქრობათა დროსაც, რომ ცხადზე ცხადად ჩანდა, თავისი ზუსტი წესრიგიანობით ყველას ჯობდა.

2. როცა სახალხო კრების თავმჯდომარე გახდა, ხალხს ნება არ დართო, კანონის წინააღმდეგ ჩაეტარებინა კენჭისყრა[1]. იგი სწორედ კანონებზე დაყრდნობით დაუპირისპირდა თავყრილობის არაკანონიერ მისწრაფებას, რასაც, ვგონებ, მის გარდა სხვა ვერვინ **გაბედავდა. 3. ასევე,** თუ ოცდაათის მმართველობა რაიმე კანონსაწინააღმდეგო საქმის აღსრულებას უბრძანებდა, ასეთ ბრძანებას არ ემორჩილებოდა. როცა, მაგალითად, ახალგაზრდებთან მსჯელობა აუკრძალეს და ზოგ მოქალაქესთან ერთად დაავალეს, ერთ-ერთი უდანაშაულო პიროვნება სიკვდილით დასასჯელად ჩამოეყვანა, მხოლოდ მან გამოიჩინა ურჩობა, რადგან უკანონო დავალება მისცეს.

4. მელეტემ რომ მის წინააღმდეგ ბრალდება აღძრა, სოკრატე იმათ მსგავსად როდი მოიქცა, რომელთაც სჩვევიათ, სასამართლოში მსაჯულთა გულის მოსაგებად ილაპარაკონ, იმლიქვნელონ და კანონების საწინააღმდეგო თხოვნა დაიწყონ, რის წყალობითაც მსაჯულებს ხშირად მრავალი კაცი გამოსძალავს ხოლმე თავისუფლებას. სოკრატემ არამც და არამც არ მოინდომა, კანონთა საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო სასამართლოში. იგი სულ ადვილად დაუსხლტებოდა მსაჯულებს ხელიდან ოდნავ მსგავსი რამ რომ ეკისრა. მაგრამ არჩია, მომკვდარიყო როგორც კანონთა ერთგული, ვიდრე ეცოცხლა, ვითარცა მათ დამრღვევს. 5. ამის თაობაზე ხშირად საუბრობდა სხვადასხვა პირებთან, მაგრამ მე მაგონდება ის საუბარი, რომელიც სამართლიანობის შესახებ ჰიპია ელიდელთან ჰქონდა[2]. ეს ჰიპია დიდი ხნის შემდეგ კვლავ ჩამოვიდა ათენში და სოკრატესთან აღმოჩნდა სწორედ იმ დროს, როცა იგი რამდენიმე მსმენელს თა-

ვისი განცვიფრების თაობაზე ელაპარაკებოდა: საოცარიაო, — ამბობდა სოკრატე, — თუ კაცს სურს, ვინმე ხარაზი ან დურგალი, მჭედელი ან მეეტლე გახადოს, სრულიადაც არ უჭირს, სასურველი ხელობის შესასწავლად იგი ოსტატთან გაგზავნოს; ზოგი იმასაც ამბობს, ცხენის ან ხარის გახედნის მსურველი, ამ საქმის შემსრულებელს, რამდენიც გნებავთ, იმდენს იშოვნისო; მაგრამ თუ კაცმა მოინდომა, სამართლიანობა შეისწავლოს, ანდა შვილს ან თავის მონას ასწავლოს ეს საქმე, როდი იცის, ამ წადილის შესასრულებლად სად წავიდეს და ვის მიმართოსო. 6. როცა ჰიპიამ ეს სიტყვები მოისმინა, სოკრატეს დაცინვით ჰკითხა: — შენ, ჩემო სოკრატე, კვლავ იმასვე ლაპარაკობ, რაც შენგან უწინაც არაერთხელ მომისმენია? — აქ, ჩემო ჰიპია, — უპასუხა სოკრატემ, — უფრო საოცარი ისაა, რომ არა მარტო ერთსა და იმავეს ვლაპარაკობ მუდამ, არამედ — ერთსა და იმავეს შესახებ. შენ კი, შენი დიდი და მრავალმხრივი ცოდნის წყალობით, ალბათ, ერთისა და იმავეს შესახებ არასოდეს ლაპარაკობ ერთსა და იმავეს. 7. სწორედ ასეა; მე ვცდილობ, ყოველთვის რაღაც ახალი ვთქვა. — იმის შესახებაც, რაც მტკიცედ იცი? აი, მაგალითად, ასოთა შესახებ? ვინმემ რომ გკითხოს, რამდენი და რა ასოებისაგან შედგება „სოკრატე“ სიტყვაო, შენ რა, ეცდები, დღეს ერთი თქვა და ხვალ მეორე? ანდა რიცხვთა გამო რომ გკითხონ: ორჯერ ხუთი ათი თუ არისო, ახლაც იმას არ მიუგებ, რასაც უწინ უპასუხებდი? — ამ კითხვებზე, ჩემო სოკრატე, მეც შენსავით მუდამ ერთსა და იმავე პასუხს ვიძლევი; ხოლო რაც შეეხება სამართლიანობას, ღრმად ვარ დარწმუნებული, ახლა შემიძლია ისე ვილაპარაკო, რომ საწინააღმდეგოს ვერც შენ და ვერც სხვა ვინმე ვერაფერს იტყვით. 8. — ვფიცავ ჰერას, — უთხრა სოკრატემ, — გეტყობა დიდი რაღაც აღმოგიჩენია და, ალბათ, ამიერიდან მსაჯულები განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღებას შეწყვეტენ, მოქალაქენი სამართლიანობას აღარ დაუპირისპირდებიან, საქმეთა აღძვრას თავს დაანებებენ და ამბოხებებზე ხელს აიღებენ, ხოლო სახელმწიფონი თავ-თავიანთ უფლებებზე დავასა და ერთმანეთში ომებს მოეშვებიან. აღარ ვიცი, როგორ გაგიშვა აქედან, სანამ ამხელა სიკეთის აღმომჩენს არ მოგისმენ! 9. — ვერა, ვფიცავ ზეუსს, ვერაფერსაც ვერ მოისმენ, სანამ შენ თვითონ არ გაგვიმჟღავნებ შენს აზრს, თუ არ არის სამართლიანობა. იკმარე სხვების დაცინვა, სხვებისთვის შეკითხვების მიცემა და ყოველი კაცის სიტყვაში გამოჭერა; გეყოს, თავად რომ არ გინდა, ვინმეს ანგარიში ჩააბარო და ისიც გეყოს,

მუდამ რომ ცდილობ, არასოდეს არც ერთი საკითხის შესახებ შენი აზრი არ გამოთქვა! 10. — რას ამბობ, ჩემო ჰიპია, ნუთუ არ შეგინიშნავს, რომ მე არასოდეს შემიწყვეტია ჩემი აზრის ჩვენება სამართლიანობის თაობაზე? — ჰოდა, აი, როგორია შენი აზრი, თქვი. — სიტყვით თუ არა, საქმით ხომ ვამჟღავნებ ჩემს აზრს! განა საქმე სიტყვაზე ბევრად უფრო სარწმუნოდ არ გეჩვენება? — ბევრად, ვფიცავ ზევსს; მრავალზე მრავალნი, სამართლიანად რომ ლაპარაკობენ, უსამართლობას ჩადიან, სამართლიანი საქმის მკეთებელი კი არ შეიძლება უსამართლო იყოს! 11. — გაგიგონია შენ ოდესმე, ცრუმოწმეობა გამეწიოს, ვინმე დამებეზღებინოს, მეგობრებში ან ქალაქში შფოთი ამეტეხოს, ახდა სხვა რაიმე უსამართლობა ჩამედინოს? — არა, არ გამიგონია, — მიუგო ჰიპიამ. — უსამართლობათაგან განრიდებას თვლი თუ არა სამართლიან საქმედ?— აშკარაა, ჩემო სოკრატე, — შენ ახლაც ცდილობ, თავი აარიდო შენი აზრის გამჟღავნებას, თუ რა მიგაჩნია სამართლიანობად; იმას კი არ ამბობ, რას აკეთებს სამართლიანი კაცი, არამედ იმას, რას არ აკეთებს! 12.—ჩემის ფიქრით, — უთხრა სოკრატემ, — უსამართლობის ჩადენის სურვილის უქონლობა სამართლიანობის საკმარისი მაგალითია. თუ ასე არ მიგაჩნია, ნახე, იქნება ეს მოგეწონოს: მე ვამტკიცებ, რომ ის, რაც კანონიერია, სამართლიანია. — მაშ, შენ ამბობ, რომ კანონიერი და სამართლიანი ერთი და იგივეა, ჩემო სოკრატე, არა? 13. — დიახ. — მაგრამ მე არ ვიცი, რას უწოდებ შენ კანონიერს და რას სამართლიანს. — სახელმწიფოს კანონებს თუ იცნობ? — დიახ, ვიცნობ, — მიუგო ჰიპიამ. — მაინც რა გგონია შენ ისინი? — აი, მოქალაქენი რომ წერილობით დაადგენენ, რა უნდა ვაკეთოთ და რას უნდა განვერიდოთ. — კანონიერად იქცევა კაცი, თუ საზოგადოებაში ამ დადგენილებათა შესაბამისად მოღვაწეობს, ხოლო ვინც მათ გადალახავს, უკანონობას ჩადის, არა? — ჭეშმარიტად. — ვინც სამართლიან საქმეს აკეთებს, სამართლიანია, ვინც უსამართლოდ მოქმედებს, უსამართლო, ასე არ არის? — ასეა, რა თქმა უნდა! — მაშ, ვინც კანონიერად იქცევა, სამართლიანია, ვინც უკანონოდ — უსამართლო, ხომ? 14. — ჰო, მაგრამ, — თქვა ჰიპიამ, — როგორ უნდა ჩათვალოს კაცმა კანონები და მათი მორჩილება მნიშვნელოვან საქმედ, როცა მათი შემდგენლებივე ხშირად უკუაგდებენ მათ და გაუთავებლად ცვლიან? — მერმე რა, სახელმწიფოები, მაგალითად, ხშირად ატეხენ ხოლმე ომს, მაგრამ შემდეგ ისევ დებენ ზავს. — სწორი ბრძანდები. — ჰოდა, როცა შენ კანონთა მორჩილ ხალხს ლანძღავ არსებული კანონების მოსალოდნელი გაუქმების მომიზეზებით, როგორ ფიქრობ, რით განსხ-

ვავდება ეს საქციელი იმისაგან, რომ გაკიცხო ომებში თავგამოდებული ჯარისკაცები იმის გამო, ეგებ ზავი დაიდოსო? თუ ლანძღავ ხოლმე ომში სამშობლოს მამაცურად დამცველ მებრძოლებს? — არა, ვფიცავ ზეესს! — მიუგო ჰიპიამ. 15. — იცი თუ არა, — უთხრა სოკრატემ, — ლიკურგე ლაკედემონელი სხვა სახელმწიფოთაგან ვერაფრით ვერ გამოარჩევდა სპარტას, მისთვის რომ კანონთა მორჩილება განსაკუთრებულად არ შთაენერგა? [3] არ იცი, ის მმართველნი რომ არიან საუკეთესონი, რომლებიც მოქალაქეებს ყველაზე უფრო მარჯვედ წააქეზებენ, კანონებს დაემორჩილონ? და რომ სახელმწიფო, რომელშიაც მოქალაქენი კანონებს ემორჩილებიან, მშვიდობიანობაში ბედნიერია, ხოლო ომში ურყევი? 16. გარდა ამისა, ჩანს, უდიდესი სიკეთეა სახელმწიფოებისათვის ერთსულოვნება; სწორედ ამიტომ უხუცესთა საბჭოები და წარჩინებული პირები მოქალაქეებს განუწყვეტლივ მოუწოდებენ ერთსულოვნებისაკენ; მთელს ელადაში მოქმედებს კანონი, რომ მოქალაქეებმა ერთსულოვნების ფიცი დადონ ხოლმე და მართლაც, ყველგან დებენ ამ ფიცს. ჩემი აზრით, ეს იმიტომ კი არ კეთდება, რომ მოქალაქეებმა როგორმე ერთსა და იმავე გუნდებს არგუნონ ჯილდო, ერთი და იგივე ავლეტები შეაქონ, ერთი და იგივე პოეტები აღაზევონ, ანდა ერთი და იმავე სიხარულით განიხარონ, არამედ იმიტომ, რომ კანონებს დაემორჩილონ. თუ მოქალაქენი ამ საქმეში მედგარნი არიან, სახელმწიფო მით უფრო ძლიერი და მით უფრო ბედნიერია; მაგრამ ერთსულოვნების გარეშე არც სახელმწიფოს მართვა შეიძლება კარგად და არც ოჯახის გაძღოლა. 17. პირად ცხოვრებაშიც ვინ არის იმ კაცზე მეტად უზრუნველყოფილი, რომ სახელმწიფოსაგან ოდნავადაც არ დაისაჯოს და ხშირად პატივისცემასაც ეწიოს, თუ არა ის, ვინც კანონებს ემორჩილება? ვინ განიცდის ხოლმე ყველაზე ნაკლებ მარცხს სასამართლოებში? ჩვეულებრივ ვინ იმარჯვებს ხოლმე აქ? ვის უფრო ანდობენ სამეურვეოდ ქონებას, ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს? ვის თვლის მთელი სახელმწიფო ყველაზე ღირსსანდო კაცად, თუ არა კანონთა მორჩილს? ვისგან მოელიან ყველაზე უფრო სამართლიან მოპყრობას მშობლები და ნათესავები, ქვეშევრდომები და მეგობრები, თანამოქალაქენი და უცხოელები? ვის უფრო ანდობენ მტრები ბრძოლის შეწყვეტისა და დაზავების თაობაზე წამოყენებულ შეთანხმებათა და პირობათა მოგვარების საქმეს? ვის გარშემო სურთ, ჩვეულებრივ, მოკავშირეებს შემოკრება, თუ არა იმ კაცის გარშემო, ვინც კანონების მორჩილია? ვის უფრო ანდობენ მოკავშირენი წინამძღოლობას, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა დაცვის საქმეს? ვისგან მოელის კეთილისმყოფელი უფ-

რო მეტ მადლს, თუ არა კანონთა მორჩილი კაცისაგან? ვის უფრო უყოფს კაცი კეთილს, თუ არა იმას, ვისგანაც დარწმუნებულია, დამსახურებულ მადლობას მიიღებს? მტრობაზე უფრო მეგობრობა ვისთან სურთ ხოლმე, თუ არა კანონების პატივისმცემელთან? როგორ კაცთან მართავენ ყველაზე ნაკლებად ბრძოლას, ვისთან სწადიათ დამეგობრება და მტრობის თავიდან აცდენა, ვის ნატრობენ მეგობრად მრავალზე მრავალნი და ვის ჰყავს მცირეზე მცირე მტერი და დუშმანი? 18. ამგვარად, ჩემო ჰიპია, მე ვამტკიცებ, რომ კანონიერი და სამართლიანი ერთი და იგივეა; თუ შენ საწინააღმდეგო აზრისა ხარ, თქვი და დამარწმუნე. — არა მგონია, ვფიცავ ზევსს, — მიუგო ჰიპიამ, — იმის საწინააღმდეგო აზრი მქონდეს სამართლიანობაზე, რაც შენ ბრძანე.

19. —დაუწერელი კანონები თუ გაგიგია, ჩემო ჰიპია?[4] — ჰკითხა სოკრატემ, — დიახ; ეს ის კანონებია, რომლებსაც ყველა ქვეყანაში ერთნაირად აღიარებენ. — შეგიძლია თუ არა, თქვა, რომ ისინი ხალხმა შექმნა? — რანაირად, როცა ყველა ხალხს ერთად თავმოყრა არ ძალუძს და ენითაც განსხვავებულნი არიან? — შენი ფიქრით, აბა, ვინ შექმნა ეს კანონები? — მე მგონი, ეს კანონები ღმერთებმა დაუდგინეს კაცთა, რამეთუ ყველა ხალხში მიღებულია, უწინარეს ყოვლისა ღმერთებს სცენ თაყვანი. 20. — მშობლების პატივისცემაც ხომ ყველგან აღიარებულია? — დიახ, ესეც აღიარებულია. — ისიც ხომ აღიარებულია, მშობლები შვილებს არ შეეუღლონ და შვილები მშობლებს? — არა მგონია, ჩემო სოკრატე, ეს ღმერთისმიერი კანონი იყოს. — რატომ? — იმიტომ, რომ ვიცნობ ისეთებს, რომლებიც არღვევენ მას. 21. — მერმე რა. სხვა კანონებსაც არღვევენ ხოლმე; მაგრამ ღმერთების მიერ დაწესებულ კანონთა გადამლახველნი ყოველთვის ისეთ პასუხს აგებენ, რომლისგან თავის დაღწევაც არავითარი საშუალებით არ ძალუძს არც ერთ კაცს; ადამიანთაგან დადგენილი კანონების დამრღვევნი კი ხშირად უსხლტებიან სასჯელს, ხან დაფარული ხერხით, ხანაც ძალადობით. 22. — რანაირ სასჯელს ვერ გაექცევიან ერთმანეთთან შეუღლებული მშობლები და შვილები? — რანაირსა და უდიდესს, ვფიცავ ზევსს! ცუდ შვილიერებაზე უფრო დიდი უბედურება, აბა, რა უნდა შეხვდეთ ბავშვების გამჩენთ? 23. — მერმედა, რატომ აჩენენ ცუდ მოდგმას, ხომ არაფერი უშლით ხელს, თუ თვითონაც კარგნი არიან, კარგებისაგანვე წარმოშვან ბავშვები? — მშობლებმა რომ ერთმანეთთან კავშირით ვარგისი შვილები გააჩინონ, მარტო მათი კეთილმოსილება როდი კმარა, საჭიროა, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობაც ჰქონდეთ. იქნებ ფიქრობ, მოწიფულის, ჯერ

კიდევ მოუმწიფებლისა და მოწიფულობის საზღვარსგადაცდენილის სპერმა ერთნაირია? — არა, რა თქმა უნდა; შეუძლებელია, ერთნაირი იყოს. — მაინც რომლისა ჯობს? — ცხადია, მოწიფულისა. — მოუმწიფებლისა არ ივარგებს? — არა, ვფიცავ ზევსს, არ ივარგებს. — მაშ, ასეთმა შვილი არ უნდა გააჩინოს? — არა, რა თქმა უნდა. — ვინც მაინც აჩენს ამ ასაკში შვილს, აჩენს ისე, როგორც არა ხამს, არა? — ასე მგონია. — შეიძლება განა, ამაზე ცუდი შვილიერება სხვა ვისმე ჰქონდეს? — ამაშიც გეთანხმები, — უპასუხა ჰიპიამ.

24. — ახლა კი, აი, ეს მითხარი: კეთილისმყოფელთა კეთილისყოფა კანონიერი საქმეა, თუ არა, ყველგან? — დიახ, კანონიერია; მაგრამ აქაც სცოდავენ ხოლმე. — ვინც აქაც სცოდავს, განა არ ისჯება იმით, რომ კარგ მეგობრებს კარგავს და იძულებულია, თავის მოძულეთ სდიოს? კეთილისმყოფელნი კარგი მეგობრები არიან იმათი, ვისაც სიკეთე უყვეს; მაგრამ თუ ესენი სანაცვლო სიკეთეს არ მიუზღავენ ხომ იმსახურებენ კეთილისმყოფელთა ზიზღს და მაინც ხომ განუწყვეტლივ დასდევენ მათ კუდში, ეგებ რამეს გამოვრჩეთო? — ვფიცავ ზევსს, ჩემო სოკრატე, ჩანს, ყველაფერი ეს ღმერთებისაგან წარმოდგება. კანონებივე რომ მათ დამრღვევთა სასჯელს შეიცავენ, ეს, ჩემის ფიქრით, კაცზე უზენაესი, კანონმდებლის ხელიდან გამოსული საქმე უნდა იყოს! — ახლა როგორღა ფიქრობ, ჩემო ჰიპია, ღმერთები სამართლიანობას აკანონებენ, თუ სამართლიანობის ნაცვლად სხვა რასმე ადგენენ? — არა, ვფიცავ ზევსს; შეუძლებელია სხვა ვინმემ დააკანონოს სამართლიანობა, თუ არა ღმერთმა. — ამგვარად, ჩემო ჰიპია, ღმერთებსაც ნებავთ, სამართლიანი და კანონიერი ერთი და იგივე იყოს.

აი, ასეთი საუბრებითა და მათივე შესაბამისი მოქმედებით სოკრატე თავის გარშემო შემოკრებილ პირთ, რაც შეიძლება, სამართლიან ადამიანებად აქცევდა.

თავი V

1. ახლა გეტყვით, როგორ ხდიდა სოკრატე თავის მოწაფეებს გამრჯეზე გამრჯე კაცებად. იგი თვლიდა, იმ კაცისათვის, ვისაც წესიერი საქმის კეთება განუზრახავს, აუცილებელ სიკეთეს თავდაჭერილობა წარმოადგენსო; უწინარეს ყოვლისა თვალნათლივ მაგალითს მოწაფეებს თავად უჩვენებდა, რადგან კაცთა შორის ამ საქმეში ყველაზე გაწვრთნილი იყო; მერმე კი მათ თავისი საუბრებით

მიუგო ევთიდემემ. — უმნიშვნელოს მიმართ სიმამაცეს არ თვლი შენ სასარგებლოდ, ხომ? — ვფიცავ ზეუსს, მხოლოდ უდიდესის მიმართაა იგი სასარგებლო. — როგორ გგონია, ხელსაყრელია თუ არა კარსმომდგარ საშინელებათა და საფრთხეთა შეუცნობლობა? — არავითარ შემთხვევაში! — ვისაც ამათი შიში არა აქვს მათი არსის უცოდინარობის გამო, არ არის მამაცი, ხომ? — ვფიცავ ზეუსს, არ არის; თორემ ასეთ შემთხვევაში ბევრი შეშლილი და მხდალიც მამაცი იქნებოდა! — რას იტყვი იმათზე, რომელთაც ეშინიათ იმისა, რაც არაა საშიში? — ესენი, ვფიცავ ზეუსს, ჯერ კიდევ ნაკლებ მამაცნი არიან. — ამგვარად, იმათ, რომელთაც მტკიცედ უჭირავთ თავი საშინელებათა და საფრთხეთა მიმართ, შენ მამაცებად მიიჩნევ, იმათ კი, რომელთაც ცუდად უჭირავთ თავი — მხდალებად, არა? — დიახ, რა თქმა უნდა.

11. —უწოდებ თუ არა კარგებსა და მამაცებს საშინელებათა და საფრთხეთა მიმართ სხვა ვინმეს, თუ არა იმათ, რომელთაც ძალუძთ, კარგად გაართვან თავი შექმნილ ვითარებას? — მხოლოდ და მხოლოდ ამათ და არა სხვა ვინმეს! — ცუდებსა და ლაჩრებს კი უწოდებ მათ, რომლებიც ასეთ ვითარებაში ცუდად იქცევიან, ხომ? — აბა, სხვებს ვის? — ყოველი ხომ იქცევა ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევს? — სხვაგვარად ვით მოიქცეს? — იმათ, რომელთაც არ ძალუძთ კარგად მოიქცნენ, იციან თუ არა, როგორ უნდა იმოქმედონ? — რა თქმა უნდა, არა. — ესე იგი, რომელთაც იციან, როგორ უნდა მოიქცნენ, საამისო ძალაც მათ შესწევთ, არა? — მხოლოდ და მხოლოდ მათ. — რომლებიც შეუცდომლად მოქმედებენ, ცუდად იქცევიან თუ არა საფრთხის ჟამს? — არა მგონია, ცუდად იქცეოდნენ. — ისინი კი, რომლებიც ცუდად იქცევიან, ცდებიან კიდეც, არა? — რა თქმა უნდა. — ამგვარად, ისინი, რომელთაც იციან საშინელებათა და საფრთხეთა ჟამს კარგად მოქცევა, მამაცები არიან, ისინი კი, რომლებიც ამ დროს შეცდომებს უშვებენ— მხდალები, ასე არაა? — დიახ; მეც ასე ვფიქრობ.

12. მ ე ფ ო ბ ა ს ა ც დ ა ტ ი რ ა ნ ი ა ს ა ც — ორივეს სოკრატე შესაძლებელ ხელისუფლებად თვლიდა, ოღონდ ფიქრობდა, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ხალხის ნებასა და სახელმწიფოს კანონებზე დამყარებულ ძალაუფლებას მეფობად მიიჩნევდა; ხალხის ნებისა და კანონების გარეშე არსებულ და გამგებლის სურვილზე დამყარებულ მმართველობას კი — ტირანიად. სახელმწიფო წყობილებას, სადაც გამგებლობა კანონთა აღმსრულებლებისაგან შედგება, არისტოკრატიას ეძახდა, იმ წყობილებას, სადაც მმართველობა ქონებრივ მდგომარეობას ეფუძნება, პლუტოკრატიას

უწოდებდა, იმ სახელმწიფო წყობილებას კი, სადაც გამგებლობაში ყოველს ძალუძს შესვლა, დემოკრატიის სახელს აძლევდა.

13. თუ ვინმე კამათს დაუწყებდა მის მიერ მოხსენებული პიროვნების თაობაზე ნათელი დასაბუთებისა და მტკიცების გარეშე: ეს კაცი უფრო გონიერი, სახელმწიფო მოღვაწეობისათვის უფრო მარჯვე, უფრო მამაცი და სხვა ამდაგვარი თვისებებით უფრო აღჭურვილია, ვიდრე შენ მიგაჩნიაო, სოკრატეს მაშინ მთელი საუბარი საკითხის საფუძვლამდე დაჰყავდა დაახლოებით ამგვარად:

14. — შენ ამტკიცებ, რომ ეს მოქალაქე, რომელსაც ხოტბას ასხამ, უკეთესია, ვიდრე ის, ვისაც მე ვაქებ? — დიახ, ვამტკიცებ. — რატომ არ განვიხილოთ ჯერ ის საკითხი, თუ რა არის კარგი მოქალაქის მოვალეობა? — ვქმნათ აგრე. — ქვეყნის ქონების საქმის გამგებლობაში ხომ ისაა უძლიერესი, ვინც სახელმწიფოს შემოსავლით ამდიდრებს? — რა თქმა უნდა. — ომში ხომ იგი პირველობს, ვინც სამშობლოს მტრებზე აღამაღლებს? — რა თქმა უნდა. — ელჩობაშიც ხომ იგი მძლავრობს, ვინც მტერს მოყვარედ აქცევს? — ცხადია. — სახალხო კრებაშიც ხომ იმას ეძლევა უპირატესობა, ვინც თავისი სიტყვით ამბოხებას ჩააქრობს და თანხმობას დაამყარებს? — ასე მგონია.

საუბრის ასე წარმართვით ჭეშმარიტება მოწინააღმდეგეებისათვისაც ნათელი ხდებოდა. 15. როცა თავად მსჯელობდა რაიმე საკითხზე, საყოველთაოდ აღიარებულ დებულებათა გზით მიემართებოდა, რადგან ეს ხერხი მსჯელობის მტკიცე საფუძვლად მიაჩნდა. ამიტომაც იყო, რომ როცა ლაპარაკობდა, ყველაზე მეტი მხარდამჭერი მსმენელი სწორედ მას ჰყავდა იმ პიროვნებებთან შედარებით, რომელთაც მე ვიცნობდი. სოკრატე ამბობდა: ჰომეროსმაც იმიტომ დასდო ჭეშმარიტი მჭევრმეტყველის სახელი ოდისევსს, რომ ამას შეეძლო თავისი სიტყვა კაცთაგან სწორად მიჩნეულ აზრთა საფუძველზე წარემართაო [1].

თავი VII

1. ზემოთქმულიდან, მგონი ნათელია, რომ სოკრატე თავის აზრს სრულიად ადვილად აგებინებდა თანამოსაუბრეთ. ახლა კი ვიტყვი, როგორ ზრუნავდა იგი მათზე, რათა შესაფერ საქმეებში გამოსადეგი და დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ. ჩემ ნაცნობთაგან სოკრატე ყველაზე მეტად ცდილობდა, გაეგო, რა განათლების პატრონი იყო ყოველი მისი მსმენელი; ხოლო რისი ცოდნაც სრულქმნილ

პლატონი

სახელმწიფო

ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

გამომცემლობა „ნეკერი“
2003

–რა თქმა უნდა, –თქვა ადიმანტემ, –მაგრამ სად ეგ და სად სამართლიანობის კვლევა-ძიება?

–მოგახსენებთ, –მივუგე მე, –ჩვენ ვამბობთ, რომ სამართლიანობა ნიშნეულია ამა თუ იმ კაცისთვის, მაგრამ ვაღიარებთ თუ არა, რომ ის მთელ სახელმწიფოსაც ახასიათებს?

–რასაკვირველია, ვაღიარებთ.

–კი მაგრამ, სახელმწიფო ხომ კაცზე დიდია?

–დიახ.

–მერედა, განა იმაში, რაც უფრო დიდია, სამართლიანობაც უფრო დიდი არ იქნება და ადვილად ამოსაცნობი? ამიტომ, თუ გნებავთ, თავდაპირველად ვნახოთ, რანაირია სამართლიანობის ბუნება სახელმწიფოში, შემდეგ კი საკუთრივ ადამიანის სულში განვიხილოთ იგი, და ამრიგად, დიდთან მსგავსების მიხედვით შევიცნოთ მცირე.

–მომწონს ეგ შენ სიტყვა, –თქვა ადიმანტემ.

–თუ წარმოსახვით წარმოვიდგენთ სახელმწიფოს დასაბამს, განა იქვე არ ვიხილავთ სამართლიანობისა თუ უსამართლობის ჩანასახსაც?

–ცხადია.

–მაშ შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ასე უფრო ადვილად მივაკვლევთ იმას, რასაც ვეძებთ?

–რა თქმა უნდა.

–ამიტომ, მე მგონია, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ ამას. ჩემის აზრით, ხუმრობა საქმე როდია. თუმცა თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ.

–გადავწყვიტეთ და ეგაა, – თქვა ადიმანტემ, –მაშ, საქმეს შეუდექ.

–მე მგონია, სახელმწიფოს მაშინ ეძლევა დასაბამი, როცა არცერთ ადამიანს აღარ შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი თავი, რადგანაც ათასი რამ სჭირდება. თუ, შენის აზრით, სახელმწიფოს დასაბამს სხვა რამე განაპირობებს?

–არა, სხვა არაფერი.

–ამიტომ ყოველი კაცი ხან ვის მიმართავს და ხან ვის თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ათასნაირ გაჭირვებას რომ განიცდის, ათასობით კაცი ერთიანდება, რათა ერთად იცხოვრონ და შეეწიონ კიდეც ერთმანეთს. სწორედ ამ თანაცხოვრებას ვუწოდებთ ჩვენ სახელმწიფოს; ასეა, არა?

–რა თქმა უნდა.

–ამრიგად, ისინი რაღაცას იღებენ ერთმანეთისაგან და სანაცვლოდ გასცემენ კიდეც, რადგანაც ყველას ჰგონია, რომ ეს უფრო უმჯობესია მისთვის.

–დიახ.

–მაშ, მოდი, ვცადოთ, –ვთქვი მე, –აზრით ჩავუყაროთ საფუძველი სახელმწიფოს; ხოლო ამ საფუძვლად, როგორც ჩანს, ჩვენი მოთხოვნილებანი უნდა მიგვაჩნდეს.

–უეჭველად.

–უპირველესი და უდიდესი მოთხოვნილება კი საზრდოსა და საარსებო საშუალებათა მოპოვებაა.

–რა თქმა უნდა.

–მეორე მოთხოვნილება ისაა, რომ საკუთარი ჭერი გეფაროს თავზე, მესამე –ის, რომ ტანსაცმელი გქონდეს, და ასე შემდეგ.

–მართალს ბრძანებ.

–მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ, –ვუთხარი მე, –რანაირად გაართმევს თავს სახელმწიფო ყოველივე ამას. იქნებ, ისე, რომ ერთი მიწის მუშა იქნება, მეორე –ხურო, მესამე –ფეიქარი და ასე შემდეგ? ხომ არ მივუმატოთ ამათ ხარაზი და ბევრი სხვა ხელოსანიც, ვინც ჩვენი ხორციელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება?

–ცხადია, უნდა მივუმატოთ.

–მაშასადამე, საზოგადოება ოთხი თუ ხუთი კაცისგან მაინც უნდა შედგებოდეს?

–როგორც ჩანს.

–კი მაგრამ, ყოველი მათგანი თავის საკუთარ საქმეს უნდა ასრულებდეს, იმ ანგარიშით, რომ მთელი საზოგადოებისთვისაც შრომობდეს? ასე მაგალითად, მიწის მუშას, მიუხედავად იმისა, რომ ერთია, ოთხი სულის სამყოფი პური უნდა მოჰყავდეს, ოთხჯერ მეტ დროს ხარჯავდეს და ოთხჯერ უფრო მეტ ოფლსაც ღვრიდეს, რათა სხვებსაც უწილადოს თავისი ნაშრომ-ნაჯაფი, თუ არას დაგიდევს დანარჩენებს, მხოლოდ თავის სამყოფ მოსავალს იწევდეს, ოთხჯერ უფრო ნაკლებ დროს ხარჯავდეს, დროის დანარჩენ სამ მეოთხედს კი სახლის ასაშენებლად, ტანსაცმლის მოსაქსოვად თუ ფეხსაცმელების შესაკერად იყენებდეს, ასე რომ, სხვებისთვის კი არა, მხოლოდ თავისთვის წვალობდეს და თავისსავე საქმეს იგვარებდეს?

—პირველი უფრო იოლია, სოკრატე, ვიდრე მეორე, —თქვა ადიმანტემ.

—ამაში, ვფიცავ ზევსს, არაფერია უჩვეულო; —ვუთხარი მე, —შენი პასუხი მაფიქრებინებს, რომ ადამიანები დაბადებითვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ ვის რა საქმის კეთების ნიჭი დაჰყვება თან, და არც თავიანთი ბუნებით ჰგვანან ერთმანეთს; განა შენც ამას არ გულისხმობ?

—დიახ, მაგას.

—მერედა, ვინ უკეთ ასრულებს თავის საქმეს —ვინც მრავალ ხელობაში გაწაფულია, თუ ვინც მხოლოდ ერთი ხელობა იცის?

—ვინც ერთი ხელობა იცის.

—ჩემის აზრით, ისიც აშკარაა, რომ თუ ხელიდან გავუშვებთ რაიმე საქმის კეთებისთვის ხელსაყრელ დროს, არაფერიც არ გამოგვივა.

—რა თქმა უნდა.

—რადგანაც, მე მგონია, არავითარი საქმე არ დაუწყებს ლოდინს ხელოსანს, აბა, როდის მოიცლის ჩემთვისაო; პირიქით, ხელოსანი ვერასოდეს ვერ უნდა იცლიდეს სხვა რამისათვის, გარდა საკუთარი საქმისა.

—ჭეშმარიტად.

—ამიტომ შეიძლება ყველაფერი უფრო უკეთ, უფრო სწრაფად და ადვილად აკეთო, როცა მხოლოდ ერთ საქმეს ასრულებ, შენი ბუნებრივი ნიჭისა თუ უნარის შესაბამისად, და, თანაც, დროულად ასრულებ, ისე, რომ სხვა რამისთვის აღარ გცალია.

—უცილობლად.

—ჰოდა, აი, რას გეტყვი, ადიმანტე: ყოველივე იმას, რაზედაც წელან ვლაპარაკობდი, სახელმწიფოს ოთხი წევრი ნამდვილად ვერ გაართმევს თავს; რადგანაც მიწის მუშა, რომელსაც მჭრელი სახნისი სჭირდება, თვითონვე როდი დაამზადებს მას, ან თოხსა თუ სხვა სამიწათმოქმედო იარაღს. ხუროსაც, თავის მხრივ, ვინ მოსთვლის, რამდენი რამე სჭირდება, და იგივე ითქმის ხარაზსა თუ ფეიქარზედაც.

—მართალს ბრძანებ.

თუ ამ ჩვენს პაწაწინა სახელმწიფოში მჭედლებს, ხუროებს და სხვა ხელოსნებსაც ჩავრთავთ, ისინი ხალხმრავალ ქვეყნად აქცევენ მას.

—რა თქმა უნდა.

მივანდობთ, უშურველ პატივს მივაგებთ არა მარტო სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც, დიდებულ ძეგლებს ავუგებთ და ასე უკვდავყოფთ მათ ხსოვნას. ხოლო ისინი, ვინც ამ გამოცდის ჩაბარება ვერ შესძლო მმართველებად და მცველებად არ გამოდგებიან. წვრილმანებს რომ მოვეშვათ, გლავკონ, აი, როგორ უნდა მოხდეს ზოგადად მცველებისა თუ მმართველების შერჩევა, და როგორ უნდა გავამწესოთ ისინი თანამდებობებზე.

–მეც მგონია, რომ სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ.

–განა სრული უფლება არა გვაქვს, ჭეშმარიტად სრულყოფილნი გვეწოდებინა ამნაირი მცველებისათვის, რომლებიც გარეშე მტრებისგანაც დაიცავდნენ სახელმწიფოს და ქვეყნის შიგნითაც უზრუნველყოფდნენ თანხმობას და ერთსულოვნებას, რათა ზოგს საერთოდ არ აღძვროდა სიავის ჩადენის სურვილი, ზოგს ძალა არ ჰყოფნოდა საამისოდ. ხოლო ის ჭაბუკები, რომლებსაც ეს-ესაა მცველები ვუწოდეთ, მმართველთა თანამდგომნი და მათი გადაწყვეტილებების განმახორციელებელნი იქნებოდნენ.

–გეთანხმები.

–მაგრამ რანაირად შევძლებდით დაგვერწმუნებინა თვითონ მმართველნი და, თუ შესაძლო იქნებოდა, დანარჩენი მოქალაქენიც, ეღიარებინათ ერთი იმ კეთილშობილურ გამონაგონთაგანი, რომელნიც, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, ესოდენ აუცილებელნი არიან?

–მაინც რომელი გამონაგონი?

–ახალი კი არა, ძველისძველი, თვით ფინიკიელებისაგან რომ იღებს დასაბამს: უწინ ეს ბევრჯერ მომხდარა, როგორც გადმოგვცემენ პოეტები, და ხალხსაც სჯერა მათი, მაგრამ დღეს კი აღარა ხდება და, ალბათ, არც ოდესმე მოხდება; ასე რომ, ძნელი საქმეა, ვინმე დაარწმუნო ამაში.

–გეტყობა, თქმასაც ვერ ბედავ.

–როდესაც გეტყვი, ეს ჩემი გაუბედაობა სავსებით ბუნებრივი მოგეჩვენება.

–მითხარი, ნუ გეშინია.

–კეთილი, გეტყვი, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიკრიბო მხნეობა, ან რანაირი გამოთქმები მოვიშველიო. ვეცდები დავარწმუნო ჯერ მმართველები და მცველები, შემდეგ კი –დანარჩენი მოქალაქეებიც, რომ ყველაფერი, რაც მათთვის გადაგვიცია

და გვისწავლებია, სხვა არა არის რა, თუ არა სიზმარი, სინამდვილეში კი ისინი თითქოს მიწის წიაღში ჩაისახნენ, იქვე იზარდნენ და ჩამოყალიბდნენ, –თვითონაც, მათი საჭურველიც და მთელი მათი აკაზმულობაც, –რის შემდეგაც დედამიწამ, მათმა მშობელმა, ამ ქვეყნად მოავლინა ისინი. ამიტომაც მართებთ, ისე ზრუნავდნენ თავიანთ სამშობლოზე, როგორც დედასა თუ ძიძაზე, მომხდურთაგან იცავდნენ მას და ისე ეპყრობოდნენ დანარჩენ მოქალაქეებს, როგორც მიწისგანვე შობილ ღვიძლ ძმებს.

–ტყუილად როდი გიმძიმდა, ეგ გამონაგონი გეამბნა ჩემთვის!

–დიახ, არცთუ უსაფუძვლოდ მიმძიმდა; მაგრამ, მოდი ამ არაკის დასასრულიც მოისმინე: თქვენ, ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქენო, ერთმანეთის ძმები ხართ, –ასე ვიტყოდით ამ არაკის თანახმად, –მაგრამ ღმერთმა, რომელმაც გამოგძერწათ, ზოგიერთ თქვენგანს, ვისაც მმართველობის უნარი შესწევს ოქრო შეურია დაბადებისას, ამიტომაც მათი ფასი არავინაა ამ ქვეყნად; მცველებს –ვერცხლი, ხოლო მიწის მუშებსა და ხელოსნებს –სპილენძი და რკინა. დაბადებითვე ერთმანეთის თვისტომნი ხართ, მაგრამ უპირატესად თქვენსავე მსგავსთა ბადებთ, თუმცა ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ ოქროს მოდგმა ვერცხლის ნაშიერთ აძლევს დასაბამს, ვერცხლისა კი –ოქროსას; იგივე ითქმის დანარჩენთა მიმართაც. მმართველებისაგან ღმერთი მოითხოვს, უმეტესად და უწინარეს ყოვლისა, თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ ნაშიერთ, დაუცხრომლად ზრუნავდნენ მათზე და, იმავდროულად, აკვირდებოდნენ, ვის რა მინარევი აქვს სულში: თუ ყრმას სპილენძის ან რკინის მინარევი დაჰყვება თან, არავითარი სიბრალული არ უნდა გამოიჩინონ მის მიმართ, არამედ ისე მოეპყრან, რანაირ მოპყრობასაც იმსახურებს თავისი ბუნებრივი მონაცემებით, ესე იგი, ხელოსნებსა თუ მიწის მუშებს მიაკუთვნონ იგი; ხოლო ვინც ვერცხლის ან ოქროს მინარევით დაიბადება, სათანადო პატივი მიაგონ და მცველებად თუ მეომრებად განამწესონ ისინი, რადგან, ერთი წინასწარმეტყველებისა არ იყოს, სახელმწიფო დაიღუპება, თუ მას რკინა ან სპილენძი იცავს. ახლა მითხარი თუ გეგულება რაიმე საშუალება, რომ ეს არაკი ვარწმუნებინოთ ხალხს?

—მოდი, ნუ დავიჩემებთ მაგას, ჩემო ძვირფასო გლავკონ; ერთადერთი, რაც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ისაა, ახლახან რომ მოგახსენე: წესიერად უნდა აღვზარდოთ-მეთქი ისინი, სულერთია, რანაირიც არ უნდა იყოს ეს აღზრდა, რათა უკიდურესად ლმობიერნი იყვნენ როგორც ერთურთის, ისე დანარჩენთა მიმართაც, რომელთა დაცვაც ვალად აღევთ.

—მართალი ხარ.

—გარდა სათანადო აღზრდისა, საღი აზრი გვკარნახობს ისე დავაბინაოთ და იმნაირი პირობები შევუქმნათ მათ, რომ არაფერმა შეუშალოთ ხელი თავიანთი მოვალეობის აღსრულებისას, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველაზე უკეთესი მცველები იყვნენ და არავითარ ზიანს არ აყენებდნენ თავიანთ თანამოქალაქეებს.

—დიახ, საღი აზრი სწორედ მაგას გვკარნახობს.

—მაშ, დაუკვირდი, თუ გვინდა, რომ ღირსეულად მოიხადონ თავინთი ვალი, აუცილებელია თუ არა, ისე დავაბინაოთ და იმნაირი პირობები შევუქმნათ მათ, როგორც მე გეუბნები. ჯერ ერთი არცერთი მათგანი არ უნდა იყოს რაიმე კერძო საკუთრების მფლობელი, გარდა იმ საგნებისა, რომლებიც აუცილებელია ყოველი ჩვენგანისათვის. მეორეც, არცერთს არ უნდა ჰქონდეს იმნაირი საცხოვრისი თუ სათავსი, სადაც ვერ შეაღწევდა ნებისმიერი სხვა მოქალაქე. რაც შეეხება თავდაჭერილი და მამაცი მეომრებისათვის საკმარის სარჩოს, მას თავიანთი სამსახურის საზღაურად უნდა იღებდნენ დანარჩენი მოქალაქეებისაგან, ისე, რომ არც შემოაკლდეთ და არც მოსჭარბდეთ მთელი წლის განმავლობაში. ისევე, როგორც ლაშქრობისას, ისინი ერთად უნდა ცხოვრობდნენ და ერთადვე ჭამდნენ პურსაც. ოქრო-ვერცხლზე კი მათ უნდა ვუთხრათ, რომ სულში ყოველთვის უბრწყინავთ ღვთივბოძებული ოქრო, ასე რომ, კაცთაგან ბოძებული ოქრო აღარ სჭირდებათ, და, ეგეც არ იყოს, მკრეხელობა იქნებოდა მიწიერი ოქროთი შეებღალათ ღვთიური ოქრო, რომელიც ყოველთვის წმინდაა და შეურევნელი, მაშინ როდესაც მიწიერი ოქრო ურიცხვი უწმინდურებისა თუ დანაშაულის წყაროდ გვევლინება. მოქალაქეთა შორის მხოლოდ მათ ეკრძალებათ არა მარტო ოქრო-ვერცხლის ფლობა, არამედ, თვით მათი შეხებაც, იმ ჭერქვეშ ყოფნა, სადაც ოქრო-ვერცხლს ინახავენ და ოქროსა თუ ვერცხლის სასმისებით სმაც. მხოლოდ ესაა როგორც თვით მათი, ისე სახელმწიფოს ხსნის ერთადერთი

საწინდარიც და საშუალებაც. რადგანაც საკმარისია საკუთარი ადგილ-მამულის, სახლ-კარისა თუ ოქრო-ვერცხლის მფლობელნი გახდნენ, რომ მცველები კი აღარ იქნებიან, არამედ მხვნელ-მთესველნი და მესაკუთრენი, ასე რომ, დანარჩენ მოქალაქეთა თანამდგომებად კი არა, მათ მტრებად და მრისხანე მბრძანებლებად მოგვევლინებიან. სხვათა მოძულენი და სხვებისგან მოძულებულნი, სხვათა მგმობელნი და სხვებისაგან გმობილნი მთელი თავიანთი დღე და მოსწრება თავს ვერ დააღწევენ შიშსა და ძრწოლას, ხოლო მათი შიშის მიზეზი შინაური მტერი უფრო იქნება, ვიდრე გარეშე მომხდური, ასე რომ, ადრე თუ გვიან, უფსკრულში გადაიჩეხებიან და სახელმწიფოსაც თან გადაიყოლებენ.

აი, ყოველივე ამის გამო გითხარი, რომ სათანადოდ უნდა მოვაწესრიგოთ და დავაკანონოთ კიდეც ჩვენი მცველების ყოფა-ცხოვრება; ან, იქნებ, არ მეთანხმები?

—გეთანხმები, —მითხრა გლავკონმა.